პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა

კვლევა ჩატარდა სსიპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფ.საძელის საჯარო სკოლის უფროსი მასწავლებლის ფეფრონე პაპიკიან - ათოშვილის ,,მხატვრული და არამხატვრული ტექსტის გაგება–გააზრების უნარ–ჩვევის განვითარების ხელისშემშლელი მიზეზების მოძიებისა და ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად გზებისა და მეთოდების მიგნების შესახებ ქართულ, როგორც მეორე ენაში ,

X კლასში "

2018–2019 სასწავლო წელი

DO NOT COPY

შესავალი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს განხორციელებული პრაქტიკული კვლევის ანგარიშს ,,მხატვრული და არამხატვრული ტექსტის გაგება–გააზრების უნარ–ჩვევის განვითარების ხელისშემშლელი მიზეზების მოძიებისა და ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად გზებისა და მეთოდების მიგნების შესახებ ქართული როგორც მეორე ენაში, X კლასში "

საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია მისი პრაქტიკული განხორციელების გზების ძიება და მიგნება.

სარჩევი

1.შესავალი.....გვ.2

2.პრობლემის აქტუალობის დასაბუთება.....გვ.3.

3.კვლევის მიზანი.....გვ.5

4.საკვლევი საკითხები.....გვ.5

5.ლიტერატურის მიმოხილვა.....გვ.7

6.კვლევის მეთოდოლოგია.....გვ.13

7.მონაცემთა ანალიზი.....გვ.17

8.ინტერვენციების დაგეგმვა და განხორციელება....გვ.18

9.ინტერვენციების შეფასება.....გვ.24

10.დასკვნა.....გვ.25

11.კვლევის შეზღუდვები.....გვ.26

12.რეკომენდაციები.....გვ.27.

13.გამოყენებული ლიტერატურა.....გვ.27

14.დანართები.....გვ.28

15.რეფლექსია კვლევის შედეგების გაზიარებაზე....გვ.38

DO NOT COPY

სსიპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ საძელის საჯარო სკოლაში ჩატარდა პრაქტიკული კვლევა ამავე სკოლის X კლასის ქართულის,როგორც მეორე ენის მასწავლებლის მიერ. კვლევა ეხება არამხატვრული და მხატვრული ტექსტების გაგება–გააზრებაში ხელისშემშლელი ფაქტორების გამოვლენას,მისი გამოსწორებისათვის აუცილებელი გზებისა

და მეთოდების მიგნებას,მოსწავლეებში ტექსტების სრულად აღქმის უნარის განვითარებას და სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას.

პრაქტიკული კვლევის ანგარიში ემყარება შემდეგ კომპონენტებს: 1. დასაბუთდა პრობლემის აქტუალობა; 2. განისაზღვრა კვლევის მიზანი, 3.დალაგდა საკვლევი საკითხები; 4. ლიტერატურის მიმოხილვა; 5. კვლევის მეთოდოლოგია; 6. გაკეთდა მონაცემთა ანალიზი; 7. ინტერვენციების დაგეგმვა და განხორციელება; 8. ინტერვენციების შეფასება; 9. დასკვნა; 10.კვლევის შეზღუდვები; 11. რეკომენდაციები; 12.გამოყენებული ლიტერატურა; 13.დანართები; 14.რეფლექსია კვლევის შედეგების გაზიარებაზე. საკვლევი საკითხების გაანალიზებას მოჰყვა შესაბამისი ინტერვენციები, ისეთი,რომელიც წაადგება მოსწავლეს ,შეძლოს არამხატვრული და მხატვრული ტექსტის გაგება –გააზრება,მასზე დაფუძნებული კრიტიკული აზროვნება, რასაც მოსდევს სამიზნე კლასში სასწავლო პროცესის გაუმჯობესება. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, შემუშავდა რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებითაც მასწავლებლები შეძლებენ, გაუმჯობესონ სასწავლო პროცესი

თავი 1.

DO NOT COPY

პრობლემის აქტუალობის დასაბუთება

საძელი ახალციხის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფელია,რომელიც დასახლებულია მხოლოდ სომეხი ეროვნების ადამიანებით. თითო-ოროლამ თუ იცის ქართული ენა, რადგან დაშორებულია ქართველებით დასახლებულ პუნქტს. შესაბამისად,მოსწავლეთა კონტინგენტს მხოლოდ სკოლაში ესმის ქართული ენა. ცხადია, სირთულეს წარმოადგენს მათთვის როგორც საუბარი, ასევე მხატვრული და არამხატვრული ტექსტების გააზრება.

საძელის მაცხოვრებლები საქართველოს მოქალაქეები არიან. მათ აუცილებლად სჭირდებათ ქართული ენის, როგორც მეორე ენის ცოდნა. სკოლის კურსდამთავრებულები მოტივირებულნი არიან, სწავლა გააგრძელონ ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში, რათა დასაქმნდნენ და შეძლონ წარმატებული კარიერული წინსვლა. ჩემი მოსწავლეები საქართველოს სამშობლოდ მიიჩნევენ. მათ აუცილებლად სჭირდებათ მხატვრული თუ არამხატვრული ტექსტების გააზრების უნარის განვითარება.

ჩემი პრაქტიკის კვლევის მიზნად ავირჩიე მხატვრული და არამხატვრული ტქსტების გაგება–გააზრების უნარების განვითარებისათვის ხელისშემშლელი ფაქტორების ძიებისა და მათი აღმოფხვრის საკითხი, რადგან **ჩემს მეათე კლასის მოსწავლეებს უჭირთ ქართულ ენაზე დაწერილი ტექსტების გააზრება.**

მიმაჩნია, რომ საკუთარი პრაქტიკის კვლევა აუცილებელია ყოველი მასწავლებლისთვის. ეს კვლევა დამეხმარება მე, ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებელს, ჩავხვდე ჩემი მოსწავლეების პრობლემებს და მივხვდე, როგორ დავეხმარო მათ მხატვრული და არამხატვრული ტექსტების გაგება–გააზრების უნარის განვითარებაში.

თვით მოსწავლეები დაეუფლებიან იმ ტექნიკას,რომლითაც თავს გაართმევენ მათთვის უცხო ენაზე შექმნილ ტექსტებს და განივითარებენ უნარს, ჩემი კოლეგებისთვის კი იქნება მისაღები სიახლე, მათ ეს კვლევა მიაწოდებს მათთვის განსხვავებულ მეთოდებსა და მიდგომებს, რითიც გაიუმჯობესებენ პედაგოგიურ პრაქტიკას და შესაბამისად, ამაღლდება მოსწავლეთა სწავლის ხარისხი.

ეროვნული სასწავლო გეგმის ინდიკატორები ქართულის ,როგორც მეორე ენის, შესწავლის თვალსაზრისით ითხოვს შემდეგ შედეგებს:

ქ. მ. X. 4.

მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ტიპის არამხატვრული ტექსტის *გაგება*.

-
- ამოიცნობს ტექსტის მიზანს (*რისთვის არის დაწერილი ტექსტი*) და ადრესატს (*ვIჩთვის არის განკუთვნილი*);
  - ამოიცნობს ტექსტის ზედაპირზე (ექსპლიციტურად) მოცემულ ინფორმაციას (*ფაქტი, მოვლენა, აზრი, მოქმედების დრო და ადგილი და სხვა*);
  - ტექსტში მოცემულ ინფორმაციას აკავშირებს საკუთარ გამოცდილებასთან და ამის საფუძველზე გამოაქვს დასკვნა;
  - ამოიცნობს ავტორის მოსაზრებებსა და შთაბეჭდილებებს კონკრეტულ საკითხზე;
  - ადარებს სხვადასხვა ტექსტს ერთი და იმავე თემის/იდეის/პრობლემის მიხედვით და გამოაქვს შესაბამისი დასკვნა;
  - მსჯელობს ტექსტში განვითარებული მოვლენების შესახებ და საკუთარი პოზიციის/დამოკიდებულების დასასაბუთებლად იყენებს ტექსტის შესაბამის ადგილებს;
  - დასკვნა გამოაქვს მთლიანი ტექსტის გააზრების საფუძველზე;
  - მიჯნავს ფაქტს დამოკიდებულებისაგან /ვარაუდისაგან/ შეფასებისაგ

ქ.მ.X. 6.

X კლასი

მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის მხატვრული ტექსტის *გაგება*.

ინდიკატორები

DO NOT COPY

- განსაზღვრავს, რა არის ნაწარმოების მთავარი სათქმელი;
- ამოიცნობს ტექსტის ზედაპირზე (ექსპლიციტურად) მოცემულ ინფორმაციას (*სად და როდის ხდება მოქმედება; გამოკვეთს დროისა და სივრცის მიმანიშნებელ დეტალებს და სხვა*);
- ამოიცნობს პერსონაჟის ხასიათის წარმოჩენის პირდაპირ (*ავტორისეული დახასიათება*) და არაპირდაპირ (*პერსონაჟის საქციელი, მისი ფიქრები/განცდები...*) ხერხებს;
- გამოაქვს დასკვნა პერსონაჟებს შორის არსებული ურთიერთობის შესახებ;
- თხრობითი ხასიათის ნაწარმოებში გამოკვეთს მოვლენათა თანამიმდევრულობას; ამოიცნობს ამბის დასაწყისსა და დასასრულს შორის ლოგიკურ კავშირებს;

  განსაზღვრავს ავტორის, მთხრობელის, პერსონაჟის პოზიციას, რაც განაპირობებს ნაწარმოებში წარმოდგენილი კონფლიქტის/პრობლემის/ამბის ინტერპრეტაციას;
- გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას/პოზიციას ტექსტში ასახულ კონფლიქტთან/პრობლემასთან/მოვლენასთან დაკავშირებით და ასაბუთებს ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე დაყრდნობით;

ესგ –ს სტანდარტებზე დაყრდნობით, ჩემი მიზანია, თავი გავართვა ჩემს წინაშე არსებულ მოთხოვნებს: მოსწავლემ შეძლოს მხატვრული და არამხატვრული ტექსტების სრულყოფილად გაგება–გააზრება, თავისი დამოკიდებულების წარმოჩენა ამა თუ იმ მოვლენისადმი და მისი კრიტიკულად შეფასება, ანუ შეძლოს მსჯელობა, კრიტიკული კითხვების დასმა, არგუმენტების მოყვანა, თავისი შეხედულების დაცვა და დამტკიცება, მაგრამ ამ შედეგებზე გასვლას წინ უძღვის პრობლემები,რომელთა მიზეზების მოძიება და აღმოფხვრა მიმაჩნია უპირველეს ამოცანად. ასეთი ბარიერების დაძლევის შემდეგ ჩემი მოსწავლე საზოგადოების სრულყოფილი და ღირსეული წევრი გახდება.

დღევანდელი ცხოვრების ყოფა მრავალი გამოწვევის წინაშე აყენებს მოზარდს. მრავალი პრობლემა შეხვდება რეალური ცხოვრების მანძილზე,მან კი უნდა შეძლოს დეტალების შემჩნევა და სწორი და დაუყოვნებელი გადაწყვეტილების მიღება.

ზემოთ ჩამოთვლილი უნარები რომ განვუვითარო, ამისათვის მნიშვნელოვან ნაბიჯად ისეთი გაკვეთილების დაგეგმვა და ჩატარება მიმაჩნია მიზანშეწონილად, რომელიც მიმახვედრებს,რომ ჩემ მიერ შერჩეული მეთოდები და რესურსები ნამდვილად აღმოფხვრის ხელისშემშლელ მიზეზებს და მოემსახურება მოსწავლეთა მიერ მხატვრული და არამხატვრული ტექსტების გაგება –გააზრების უნარის განვითარებას.

თავი 2
კვლევის მიზანი:

საკვლევი თემა: ,,მხატვრული და არამხატვრული ტექსტის გაგება–გააზრების უნარ–ჩვევის განვითარებისათვის ხელისშემშლელი მიზეზების ძიება ქართულ როგორც მეორე ენაში , X კლასში“

სამიზნე ჯგუფი: X კლასის მოსწავლეები, სკოლის ქართული როგორც მეორე ენის კათედრა. მშობლები,ზოგადად სკოლა.

კვლევის მიზანი: 1. ,,გაირკვეს და დადგინდეს ყველა ის ხელისშემშლელი მიზეზი,რომლის გამოც ,ჩემს მოსწავლეებს X კლასში ,უჭირთ მხატვრული და არამხატვრული ტექსტების გააზრება. ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად სსიპ ახალციხის მუნიციპალიტეტის საძელის საჯარო სკოლაში დაიგეგმოს და განხორციელდეს ინტერვენციები, რომლებიც დაეხმარება მეათე კლასის მოსწავლეებს პრობლემის დაძლევაში და ხელს შეუწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.

თავი 3

საკვლევი საკითხები.....

1.რა უშლით ხელს X კლასის მოსწავლეებს , გაიგონ და გაიაზრონ არამხატვრული ტექსტები?

2. რატომ არ შეუძლიათ: ა) ამოიცნონ ექსპლიციტურად მოცემული ინფორმაცია? (*ფაქტი, მოვლენა, აზრი, მოქმედების დრო და ადგილი და სხვა*);

ბ)შეადაროს ერთმანეთს სხვადასხვა ტექსტები

გ)იმსჯელოს განვითარებული მოვლენების შესახებ?

დ)გამიჯნოს ფაქტი და ვარაუდი ერთმანეთისაგან?

3. რატომ არ შეუძლიათ მხატვრულ ტექსტებში: განსაზღვრონ დროთა და სივრცე,ამოიცნონ ავტორის დამოკიდებულება ,დაახასიათონ პერსონაჟი?

4 .სწავლების რომელი მეთოდები და მიდგომები ,რომელი კონკრეტული აქტივობები,რომელი და როგორი რესურსები დამეხმარება, მივაღწიო მიზანს და

განვუვითარო მოსწავლეებს მხატვრული და არამხატვრული ტექსტის გაგება – გააზრების უნარი, რომელიც მისცემს მათ საშუალებას, კრიტიკულად შეაფასონ ესა თუ ის მოვლენა ან ქმედება და შეძლონ არგუმენტირებულად იმსჯელონ წერასა თუ ზეპირმეტყველებაში.

5. როგორ შევაფასო მოსწავლეთა შედეგები ტექსტის გაგება–გააზრების უნარის განვითარების მიზნით დაგეგმილი გაკვეთილის მიხედვით, შესაძლებელია თუ არა ამ მეთოდით მიზნის მიღწევა?

6.როგორ დავეხმარო მოსწავლეებს, საგაკვეთილო პროცესში დასვან კრიტიკული შეკითხვები და საკითხი ობიექტურად შეაფასონ?

7. აქვთ თუ არა სურვილი პედაგოგებს მოსწავლეებში ტექსტის გაგება–გააზრების უნარის განვითარების ხელშეწყობის მიზნით დანერგონ საკუთარ პრაქტიკაში განსხვავებული მიდგომები?

კვლევის მონაწილე მხარეები და მათი პასუხისმგებლობები

- სკოლის ადმინისტრაცია და პედაგოგები
- კომისიის წევრების შერჩევა
- კითხვარის შემუშავება ფოკუს ჯგუფისათვის
- გამოკითხვა

- გამოკითხვის შედეგების ანალიზი
- ინტერვენციის დაგეგმვა
- ინტერვენციის შედეგების ანალიზი
- პროექტის ვადების დაცვა
- შედეგების გაცნობა სკოლისათვის

კვლევის ვადები

აქტივობა	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი
საკვლევი თემის შერჩევა	√				
შეხვედრა სკოლის დირექტორთან პრობლემის განხილვის მიზნით	√				
კვლევის გეგმის შემუშავება	√				
ინტერვიუ სკოლის		√			

დირექციასთან					
საკვლევი კომისიის შედგენა		√			
კვლევის კომისიასთან შეხვედრა		√			
კითხვარის შედგენა		√			
გამოკითხვა		√			
მიღებული შედეგების ანალიზი			√		
სავარაუდო ინტერვენციების განხილვა			√		
ინტერვენციის განხორციელება			√	√	
ინტერვენციის შედეგების ანალიზი				√	
კვლევის შედეგების გაცნობა, პრეზენტაცია					√

DO NOT COPY

თავი 4.

ლიტერატურის მიმოხილვა

იმ თვალსაზრისით, რომ უფრო კარგად ჩავწვდომოდი ჩემი პრაქტიკის კვლევის არსს,შევეცადე ,გავცნობოდი კომპეტენტური პიროვნებების მოსაზრებას ,მათ დამოკიდებულებას მხატვრული და არამხატვრული ტექსტების სწავლებასთან დაკავშირებით. ამისათვის მოვიძიე ინტერნეტრესურსები.
ქ.ირი სამსონია მიიჩნევს,რომ წაკითხულის გააზრების უნარ-ჩვევის განვითარება

სწავლა-სწავლების ყველა ეტაპზე თანაბრად აქტუალურია.ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ ტექსტებზე მუშაობისას მასწავლებელმა ხელი შეუწყოს მოსწავლეებს, კარგად დაფიქრდნენ, აწონ-დაწონონ, თუ რას გრძნობენ, რა ემოცია გამოიწვია მათში წაკითხულმა.

მხატვრული ტექსტის გააზრების ზოგიერთი ასპექტი

26 სექტემბერი, 2014 ირინა სამსონია

წაკითხულის გააზრების უნარ-ჩვევის განვითარება სწავლა-სწავლების ყველა ეტაპზე თანაბრად აქტუალურია. მხატვრული ტექსტების დამუშავება სპეციფიკურ მიდგომას მოითხოვს სწავლების დამამთავრებელ ეტაპზე, როდესაც შესასწავლი ტექსტების კორპუსი სულ უფრო რთული და მრავალფეროვანი ხდება. ის მოიცავს სხვადასხვა ეპოქის, მიმდინარეობისა და ჟანრის ნაწარმოებებს, რომელთა თემატიკაც და იდეური მხარეც ღრმა და კომპლექსურ ანალიზს მოითხოვს.

როგორც ცნობილია, ტექსტი, როგორც თავისთავადი ღირებულება, არ არსებობს _ მას აზრს და მნიშვნელობას მკითხველი ანიჭებს. მკითხველი არის ის, ვინც დიალოგს ამყარებს იმ იდეებთან, თემებთან, ფასეულობებთან და შეხედულებებთან, რომლებსაც ტექსტში ამოიკითხავს. თითოეული ადამიანი კითხვისას ეყრდნობა საკუთარ ცხოვრებისეულ გამოცდილებას, უკვე ჩამოყალიბებულ შეხედულებათა სისტემას და ცოდნას. რამდენადაც უნიკალურია თითოეული ადამიანი თავისი ცოდნით, გამოცდილებითა და შეხედულებებით, იმდენად განსხვავებულია მისი აღქმა და დამოკიდებულება წაკითხულის მიმართ. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ ტექსტებზე მუშაობისას მასწავლებელმა ხელი შეუწყოს მოსწავლეებს, კარგად დაფიქრდნენ, აწონ-დაწონონ, თუ რას გრძნობენ, რა ემოცია გამოიწვია მათში წაკითხულმა.

კრიტიკული ანალიზი არის მკითხველის ინტერაქცია ტექსტის იდეურ მხარესთან, წაკითხულის გააზრების მაღალ დონეს წარმოადგენს ასევე ტექსტის მთავარი იდეის, მასში წამოჭრილი საკითხებისა და პრობლემების განზოგადების უნარიც.

ინტერტექსტუალური ანალიზი ავითარებს მოსწავლის მეტაკოგნიტურ უნარებს. ამ დროს მკითხველი ცდილობს შეაფასოს, თუ რამდენად ადეკვატურად გაიგო მან ადრე წაკითხული ტექსტი, რამდენად შეიცვალა მისი წარმოდგენა ამ ტექსტზე და რატომ, რა ახალი დეტალებით შეივსო მისი ცოდნა და ა.შ.

http://mastsavlebeli.ge/?p=4106

გადავხედე წაკითხულის გააზრებასთან დაკავშირებით ჩატარებულ კვლევებს.შედეგი სავალალოა. უფრო განმიმტკიცდა სურვილი,სწორედ წაკითხულის გააზრებაზე ჩამეტარებინა კვლევა.

გამოცდების ეროვნული ცენტრის საგნობრივი და კვლევითი დეპარტამენტის უფროსი ია კუტალაძე საგანგაშო ინფორმაციას აქვეყნებს

საქართველო

imedi / 06 მაისი 2018, 14:41 / სანდო წყარო

კვლევა: მოსწავლეთა 14%–ს წაკითხულის გააზრება მინიმალურ დონეზეც არ შეუძლია

საქართველოში PIRLS-ის კვლევის ფარგლებში შერჩეული იყო 200 სკოლა და დაახლოებით 6 ათასამდე მოსწავლე მათი მშობლები, მასწავლებლები და დირექტორები.

კვლევის მიხედვით, წაკითხულის გააზრებას უმაღალეს საფეხურზე მოსწავლეთა მხოლოდ 2% ახერხებს. უმაღლესი საფეხური გულისხმობს, რომ მოსწავლე გაწაფულია კითხვაში. ყოველგვარი პრობლემის გარეშე შეუძლია როგორც ლიტერატურული, ისე საინფორმაციო ტექსტის წაკითხვა, გაგება, გააზრება და ანალიზი, საუბარია ასაკთან შესაფერის ტექსტებზე.

მაღალ საფეხურზეა მოსწავლეთა 22%,

გამოცდების ეროვნული ცენტრის საგნობრივი და კვლევითი დეპარტამენტის უფროსი ია კუტალაძე.

https://imedinews.ge/ge/sagartvelo/60296/kvleva-mostsavleta-14s-tsakitkhulis-gaazreba-minimalur-donezets-ar-sheudzlia

რაც შეეხება ქ.ლელა კვირტაიას მოსაზრებას ტექსტის ანალიზთან დაკავშირებით,იგი მიიჩნევს, რომ ყოველი ნაწარმოები განუმეორებელია და ზოგჯერ ვერავითარი წინასწარ მომზადებული სქემით ვერ განიხილება.ამიტომ,

მოსწავლეებს თავს არ უნდა მოვახვიოთ ჩვენი საგანი, არ უნდა ვეცადოთ ისინი ლინგვისტებად ან ლიტერატურათმცოდნეებად ვაქციოთ.როგორც მივხვდი ,ქ. ლელას იმის თქმა სურს,რომ მასწავლებელმა მოსწავლეებს თავისუფალი მკითხველის სასწაული უნდა ვაგრძნობინოთ. ლიტერატურაც სხვა არაფერია, თუ არა თავისუფლება, ამ სიტყვის ჭეშმარიტი გაგებით. და, თუ შეძლებს მასწავლებელი ასე დაანახოს ლიტერატურა მოსწავლეს,იმასაც შეძლებს,სწორად გააზრების უნარი გამოუმუშაოს,რათა მის წინ არსებულ რეალურ ცხოვრებაში ამ უნარის მეშვეობით გზა გააკვლევინოს.

ტექსტის ანალიზი

5 ივლისი, 2018 ლელა კვირტაია

„ხელოვნების ყოველი ნიმუში, მხატვრული მიმართულება ეპოქისეული რეალობის შედეგი და, იმავდროულად, კაცობრიობის მიერ დაგროვილი გამოცდილების ნაყოფია, ამიტომაც მშობლიური ენისა და ლიტერატურის ეფექტური სწავლება, სახელმწიფო ენის პოტენციალის სრულყოფილად ათვისება, უპირველესად, აზროვნებისა და წიგნიერების (ფართო გაგებით) კომპეტენციის განვითარებას გულისხმობს.

,,ხელოვნებას მაშინ აქვს ყველაზე დიდი ძალაუფლება, როდესაც ის ჩვეულებრივ ადამიანს უკავშირდება“ (აი ვეივეი, ჩინელი ხელოვანი). მართლაც,

მოსწავლეთა მოტივაციის შესანარჩუნებლად აუცილებელია, სასწავლო თუ ტექსტის ანალიზის პროცესში მათ მნიშვნელოვან ფიგურად იგრძნონ თავი. რა თქმა უნდა, ყოველი ნაწარმოები განუმეორებელია და ზოგჯერ ვერავითარი წინასწარ მომზადებული სქემით ვერ განიხილება.

მოსწავლეებს თავს არ უნდა მოვახვიოთ ჩვენი საგანი, არ უნდა ვეცადოთ ისინი ლინგვისტებად ან ლიტერატურათმცოდნეებად ვაქციოთ. ამგვარი მცდელობები საფუძველშივე ფუჭია. არც ამ მეთოდით უნდა ვაიძულოთ, ე.წ. ,,სისტემური განხილვები“ მოაწყონ. უბრალოდ, აღვიქვათ ისინი ინდივიდულური თავსებურებების მატარებელ პიროვნებებად. ავასხათ მათ აზროვნების იარაღი და თავისუფალი მკითხველის სასწაული ვაგრძნობინოთ. ლიტერატურაც სხვა არაფერია, თუ არა თავისუფლება, ამ სიტყვის ჭეშმარიტი გაგებით.

რა არის არამხატვრული ტექსტის გაგება–გააზრება?

როგორც კვლევამ ცხადყო,მაღალი კლასის მოსწავლეთა მხოლოდ 22 % შეუძლია წაკითხულის გაგება–გააზრება. აშკარაა,რომ პრობლემა სწავლების დაბალ ხარისხშია. მიმაჩნია,რომ სწორედ მასწავლებელმა უნდა იპოვოს გზები და მეთოდები იმისათვის ,რომ მოსწავლეთა უმეტესმა ნაწილმა შეძლოს ტექსტების გაგება გააზრება. რა არის არამხატვრული ტექსტის გაგება–გააზრება? კონკრეტულად ის, როცა მოსწავლეს შესწევს უნარი, ამოიცნოს ტექსტის მიზანი,თუ რისთვის ან ვისთვისაა განკუთვნილი. შეუძლია,ამოიცნოს ექსპლიციტურად მოცემული ინფორმაცია,დააკავშიროს საკუთარ გამოცდილებასთან და გამოიტანოს დასკვნა.შეადაროს სხვადასხვა ტექსტი და დასვას კრიტიკული კითხვები, არგუმენტირებულად იმსჯელოს მასში აღწერილ პრობლემებზე. გამიჯნოს ფაქტები ვარაუდებისაგან.

DO NOT COPY

რა არის მხატვრული ტექსტების გაგება–გააზრება?

რაც შეეხება მხატვრული ტექსტების გაგება–გააზრებას, თუ მოსწავლე შეძლებს, განსაზღვროს ნაწარმოების მთავარი სათქმელი; ამოიცნოს პერსონაჟისადმი ავტორის დამოკიდებულება,გაარკვიოს ,რა ლოგიკური კავშირია მოვლენებს შორის და რა განაპირობებს ნაწარმოებში წარმოდგენილი კონფლიქტის,პრობლემის ინტერპრეტაციას,რომელსაც ახსნის ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე დაყრდნობით,მაშასადამე, ტექსტი გაგებული და გააზრებული აქვს.

რატომ უნდა გამოვუმუშავოთ მოსწავლეებს მხატვრული და არამხატვრული ტექსტების გაგება გააზრების უნარ–ჩვევები?

სომხურ ენაზე აღზრდილ და მოსაუბრე მოსწავლეს, თავისთავად

ცხადია, გაუჭირდება გააანალიზოს, გამოყოს ტექსტის სტრუქტურა, ახსნას ძირითადი მიეზები, დაყოს მასალა სხვადასხვა ნაწილად, შეაპირისპიროს და გამოავლინოს მიმართებები, დაადგინოს მიზეზ–შედეგობრივი კავშირი სხვადასხვა მოვლენებს შორის, ამიტომ სჭირდება ჩემი,როგორც მასწავლებლის დახმარება,რომ შეძლოს თავი გაართვას ამ სირთულეს

  როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნე, ჩემი მოსწავლეები სომეხი ბავშვები არიან და სომხურ გარემოცვაში ცხოვრობენ, თუმცა მათ უწევთ ურთიერთობა ქართველებთან. ხშირია სომეხ–ქართველთა ქორწინების შემთხვევები. მეგობრობენ ერთმანეთთან, სხვადასხვა პროექტებში არიან ჩართულნი და სჭირდებათ მსჯელობის, კრიტიკული აზროვნების, არგუმენტების მეშვეობით თავიანთი აზრის გამოხატვის შესაძლებლობა, რაც აუცილებლად ქართული ენის ცოდნას ითხოვს მხატვრული თუ არამხატვრული ტექსტის გაგება–გააზრებაზე დაფუძნებით.

სომხურ ენაზე მოსაუბრე საქართველოში მცხოვრებმა მოსწავლემ უნდა შეძლოს, ჩაწვდეს, რას ითხოვს ესა თუ ის ტექსტი, ამოიცნოს, რისი თქმა სურს ავტორს, რა პრობლემაა მასში წარმოჩენილი, ან როგორი პერსონაჟია დახატული: მისაბაძი თუ პირიქით. მე ,როგორც ქართულის, როგორც მეორე ენის ,მასწავლებელი თავს ვალდებულდ ვთვლი, გავარკვიო ჩემი მოსწავლეების საჭიროებანი,მოვძებნო გზები და მეთოდები,შევქმნა რესურსები,რომლებითაც მათ გავუადვილებ ტექსტის გაგებას და განვუვითარებ კრიტიკული აზროვნების უნარს, რათა იყონ აქტიურები და ჩართულნი საქართველოს საზოგადო ცხოვრებაში. შეეძლოთ,გაიგონ ტელევიზიითა თუ მასმედიით, ან ინტერნეტით გავრცელებული ინფორმაციები ჩვენი ქვეყნის ცხოვრებისეული მოვლენების შესახებ.ცხადია,ისინი ოჯახის წევრებსაც დაეხმარებიან, ჩაწვდნენ საქართველოში მიმდინარე პროცესებს.

DO NOT COPY

 ამ საკითხებზე ფიქრმა კიდევ ერთი კითხვა გამიჩინა,თუ

რა არის აზროვნება და რას ეფუძნება იგი?

პასუხის ძებნისას წავაწყდი ცვატა ბერძენიშვილის სტატიას .ქ. ცვატა მიიჩნევს,რომ

,,კრიტიკული აზროვნების მიზანია უკვე მიღებული გადაწყვეტილებების შემოწმება და იმის ანალიზი, პრაქტიკულად როგორ და სად შეიძლება მათი გამოყენება. შემოქმედებითი აზროვნება მიმართულია ახალი იდეების შექმნისკენ,“ერთიც და მეორეც აუცილებლად სჭირდება ნებისმიერ ადამიანს,რომლის უნარის განვითარებაც სწორედ სკოლაშია შესაძლებელი და ამ საკითხს ღირსეულად უნდა ემსახურონ მასწავლებლები.

აზროვნების სახეები

26 აპრილი, 2017 ცვატა ბერძენიშვილი

 ქ.ცვატას აზრით,

აზროვნება არის ინფორმაციის გადამუშავების პროცესი, რომლის მიზანია პრობლემის გადაჭრა, დასკვნების გამოტანა და გადაწყვეტილების მიღება. აზროვნება

კოგნიტიური პროცესია, ანუ შინაგანად, გონებაში მიმდინარეობს, მაგრამ მისი შედეგი ქცევით ვლინდება.

აზროვნების ფსიქოლოგიისადმი მიძღვნილ ლიტერატურაში
გვხვდება **შემოქმედებითი** და **კრიტიკული**აზროვნების ცნებებიც. ასეთი დაყოფის კრიტერიუმი აზროვნების პროცესის შედეგია. შემოქმედებითი ტიპისაა აზროვნება, რომლის შედეგიცაა ახალი კანონზომიერების აღმოჩენა ან ახალი პრობლემის გადაჭრა. კრიტიკული აზროვნების მიზანია უკვე მიღებული გადაწყვეტილებების შემოწმება და იმის ანალიზი, პრაქტიკულად როგორ და სად შეიძლება მათი გამოყენება. შემოქმედებითი აზროვნება მიმართულია ახალი იდეების შექმნისკენ, კრიტიკული აზროვნება კი მათ ნაკლოვანებებს, ხარვეზებს წარმოაჩენს. ადამიანის წინაშე დასმულ ამოცანათა ეფექტური გადაწყვეტისთვის აუცილებელია ორივე სახის აზროვნება.

http://mastsavlebeli.ge/?p=13985

24, 2019

ქ. მარიამ გოდუაძე იმოწმებს ჟან პიაჟეს ნათქვამს,რომ ,, ლოგიკური აზროვნების ძირითად თვისებას მისი ოპერაციულობა წარმოადგენს. აზროვნების ოპერაცია – ეს არის გონებრივი მოქმედება“ და აყალიბებს იმას,თუ რა იგულისხმება აზროვნების ოპერაციებში.

აზროვნება და ოპერაციები

25 მაისი, 2017 მარიამ გოდუაძე

ჟან პიაჟეს მიხედვით, ლოგიკური აზროვნების ძირითად თვისებას მისი ოპერაციულობა წარმოადგენს. აზროვნების ოპერაცია – ეს არის გონებრივი მოქმედება,ფსიქოლოგიაში აზროვნების ოპერაციის გაგება არაერთგვაროვანია, მაგრამ ძირითადად აზროვნების შემდეგ ოპერაციებს განასხვავებენ:

- ანალიზი
- განყენება ანუ აბსტრაქცია
- სინთეზი
- შედარება
- გაერთიანება
- დაყოფა/კლასიფიცირება
- ანალოგია

ემანუელ კანტის „მსჯელობის უნარის კრიტიკიდან“ მოყოლებული, ამათგან ყველაზე მნიშვნელოვნად **ანალიზსა**და **სინთეზს** მიიჩნევენ[2].
ანალიზი (ბერძნ. ἀνάλυσις – განფენა) არის სააზროვნო უნარ-ჩვევა, ცნობიერებაში მთლიანი ხატის დაშლას ანალიზი ეწოდება.
ბენჯამენ ბლუმის მიხედვით, ანალიზი არის აზროვნების ზედა დონის უნარ-ჩვევა და მასში იგულისხმება:

- მასალის (სტრუქტურის) შემადგენელ ნაწილებად დაყოფა: ნაწილების შედარება-შეპირისპირება, ნაწილებს შორის კავშირის ან სტრუქტურის დანახვა;
- მოვლენის მიზეზის (დაფარული აზრის აღმოჩენა) ახსნა;

- პროცესის კანონზომიერების გამოვლენა;
- მიზეზებსა და შედეგებს შორის კავშირების დადგენა.

სინთეზი (ბერძნ. σύνθεσις – დაკავშირება) არის სააზროვნო უნარ-ჩვევა, სინთეზი გულისხმობს ცალკე მოცემული ელემენტების (ნაწილების, თვისებების) გონებაში გაერთიანებას ახალი სტრუქტურული მთლიანობის სახით: სინთეზი არის აზროვნების ზედა დონის უნარ-ჩვევა და მასში იგულისხმება:

- ნაწილების შეერთება ახალი სტრუქტურის (მაგ. ტექსტის) შესაქმნელად;
- http://mastsavlebeli.ge/?p=14310

თავი 5.

კვლევის მეთოდოლოგია

პრობლემის იდენტიფიცირებისა და საკვლევი საკითხის ამომწურავად შეცნობის მიზნით მონაცემთა შესაგროვებლად (კლასში მხოლოდ სამი მოსწავლეა) და იმისათვის ,რომ გამერკვია,ახერხებენ თუ არა ჩემი მოსწავლეები მხატვრული და არამხატვრული ტექსტების ისე გაგებას,როგორც ამას ეროვნული სასწავლო გეგმის ინდიკატორები მოითხოვს X კლასში, პირველ რიგში, მიზანმიმართულად ჩავთვალე, გამერკვია, რა უშლიდათ ხელს. ამისათვის შევადგინე დიაგნოსტიკური ტესტები(ტესტები იხილეთ დანართში)

ტესტი მოსწავლეებისთვის:

1.არამხატვრული ტექსტების წაკითხვისას იგებ თუ არა მთლიან შინაარსს?

ა) დიახ ბ) ვერა გ)ნაწილობრივ



2.ტექსტის ნაწილებად დაყოფა გეხმარება თუ არა მთლიანი ტექსტის გააზრებაში?

ა) დიახ ბ)ვერა გ)ნაწილობრივ



3.რა გიშლის ხელს ტექსტის გააზრებაში?

ა) სიტყვების არცოდნა

ბ)გრამატიკის ნორმების არცოდნა

გ) ორივე ერთად



4.შეუძლია თუ არა მშობელს, დაგეხმაროს ქართული ტექსტის გააზრებაში?

ა)დიახ ბ)არა



5.მიგაჩნია თუ არა აუცილებლობად, გქონდეს არამხატვრული ტექსტის გააზრების უნარი?

ა)დიახ ბ) არ მჭირდება



3. მხატვრული ლიტერატურის კითხვისას რა გიჭირს ყველაზე მეტად?

ა) ზოგიერთი წინადადების გააზრება

ბ) იმის მიხვედრა ,თუ რისი თქმა სურს ავტორს

გ) ზოგიერთი სიტყვის გაგება

დ) სამივე ერთად



3. თანამშრომლობით უნარზე გადატანილი ყურადღება(ჯგუფური მუშაობა),დამეხმარება თუ არა,მოსწავლეებს განვუვითარო ტექსტის გაგება–გააზრების უნარი?

ა)რა თქმა უნდა,ასეთ შემთხვევაში მოსწავლეები ერთმანეთს ეხმარებიან საჭირბოროტო საკითხის გადაწყვეტაში

ბ) ვერ დაგეხმარება, რადგან მოსწავლეები ლიდერს მიანდობენ საკითხის გადაწყვეტას



1.როგორ ფიქრობთ, თქვენს შვილს რა უშლის ხელს ტექსტის გაგება –გააზრებაში?

ა) სიზარმაცე

ბ) ქართული სიტყვების არ ცოდნა

გ)გაგება–გააზრების უნარის არქონა

დ) ბ და გ ვარიანტი ერთად



DO NOT COPY

თავი 6

მონაცემთა ანალიზი

მონაცემთა შეგროვების შედეგად გამოიკვეთა, რომ მოსწავლეებს მხატვრული და არამხატვრული ტექსტების გააგება–გააზრება ნაწილობრივ შეუძლიათ.მთლიანად გაგებაში ხელს უშლით ის, რომ

—ვერ ეხმარებიან ოჯახის წევრები

—არ აქვთ საკმარისი ლექსიკური მარაგი

—არ კითხულობენ მხატვრულ ლიტერატურას

—ზოგიერთი არამხატვრული ტექსტი რთულია

—არ უყურებენ ქართულ ფილმებს

—არ ცდილობენ,ერთმანეთს ესაუბრონ ქართულად

—საგაკვეთილო პროცესი და მასალა არაა საკმარისი გაგება–გააზრების უნარის ჩამოსაყალიბებლად

რჩევები მშობლებისგან:

2.თქვენი აზრით,როგორ შემიძლია დავეხმარო თქვენს შვილს?

ა) მკაცრად მოვთხოვო სალექსიკონო რვეულის წარმოება

ბ)მოვთხოვო, ხშირად იკითხოს მხატვრული თუ არამხატვრული ლიტერატურა

გ) ნახოს ქართული ფილმები და ყურადღებით უსმინოს

დ)ყოველთვის დაწეროს დავალებები და ყოველთვის გავუსწორო შეცდომები

რჩევები მასწავლებლებისგან:

4. რას მირჩევ, როგორ მოვიქცე, რომელი აქტივობა დამეხმარება მოსწავლეებში ტექსტის გაგება–გააზრების უნარის განვითარებისათვის.?

1.ხშირად ვამუშავო წყვილებსა და ჯგუფებში

2.მივაჩვიო,დასვან კრიტიკული კითხვები

3. განსაკუთრებული ყურადღება გამოვიჩინო ლექსიკური მარაგისადმი

4.მივაჩვიო პრეზენტაციებსა და რესურსების შექმნას

თავი 7
ინტერვენციების დაგეგმვა და განხორციელება

შემუშავდა ინტერვენციები:

1) მხატვრული და არამხატვრული ტექსტების გაგება–გააზრების კომპეტენციის განვითარებასთან დაკავშირებული გაკვეთილების დაგეგმვა და ჩატარება კოლეგების დასწრებით.
2) მშობლების მიერ მოწოდებული რჩევების გათვალისწინება გაკვეთილებზე
3) სომხური ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოდან მხატვრული და არამხატვრული ტექსტების ამორჩევა და მისი თარგმნა სომხური ენის მასწავლებლის კონსულტაციით,შემდეგ ნათარგმნის განხილვა ქართულის გაკვეთილზე.
3) გაკვეთილებზე მიღწეული შედეგების განხილვა და ანალიზი.

გაგება–გააზრების უნარის განვითარებასთან დაკავშირებით

დაგეგმილი გაკვეთილების იდეები:

ქართული ენა უძველესი და უმდიდრესი ენაა. საუკუნეების მანძილზე უამრავი ენა გაქრა, მაგრამ ქართულმა შეინარჩუნა თავისი თვითმყოფადობა. უფრო დაიხვეწა და გრამატიკულ ნორმებს დაემორჩილა.

უამრავი მხატვრული და არამხატვრული ტექსტია შექმნილი,რომელთაგან ბევრი დაკარგულიც კია და მზის სინათლეზე გამოტანას ელოდება.

ჩემს ვალდებულებად ისიც მიმაჩნია, რომ სომეხი ეროვნების მოსწავლეები ვაზიარო ქართული ენის საოცარ ხიბლს, გაიგონ, გაიაზრონ, შეიყვარონ, დაინტერესდნენ და მომავალში იქნებ იმ ხელნაწერებზეც იმუშაონ, რომლებიც სომხურ ისტორიულ წყაროებშია დაცული.
კიდევ ერთხელ გადავხედე ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ინდიკატორებს X კლასში.

ქ. მ. X. 4.

მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ტიპის არამხატვრული ტექსტის *გაგება*.

-
- ამოიცნობს ტექსტის მიზანს (*რისთვის არის დაწერილი ტექსტი*) და ადრესატს (*ვIჩთვის არის განკუთვნილი*);
  - ამოიცნობს ტექსტის ზედაპირზე (ექსპლიციტურად) მოცემულ ინფორმაციას (*ფაქტი, მოვლენა, აზრი, მოქმედების დრო და ადგილი და სხვა*);
  - ტექსტში მოცემულ ინფორმაციას აკავშირებს საკუთარ გამოცდილებასთან და ამის საფუძველზე გამოაქვს დასკვნა;
  - ამოიცნობს ავტორის მოსაზრებებსა და შთაბეჭდილებებს კონკრეტულ საკითხზე;
  - ადარებს სხვადასხვა ტექსტს ერთი და იმავე თემის/იდეის/პრობლემის მიხედვით და გამოაქვს შესაბამისი დასკვნა;
  - მსჯელობს ტექსტში განვითარებული მოვლენების შესახებ და საკუთარი პოზიციის/დამოკიდებულების დასასაბუთებლად იყენებს ტექსტის შესაბამის ადგილებს;
  - დასკვნა გამოაქვს მთლიანი ტექსტის გააზრების საფუძველზე;
  - მიჯნავს ფაქტს დამოკიდებულებისაგან /ვარაუდისაგან/ შეფასებისაგან

DO NOT COPY

ქ.მ.X. 6.

X კლასი

მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა სახის მხატვრული ტექსტის *გაგება*.

ინდიკატორები

- განსაზღვრავს, რა არის ნაწარმოების მთავარი სათქმელი;
- ამოიცნობს ტექსტის ზედაპირზე (ექსპლიციტურად) მოცემულ ინფორმაციას (*სად და როდის ხდება მოქმედება; გამოკვეთს დროისა და სივრცის მიმანიშნებელ დეტალებს და სხვა*);
- ამოიცნობს პერსონაჟის ხასიათის წარმოჩენის პირდაპირ (*ავტორისეული დახასიათება*) და არაპირდაპირ (*პერსონაჟის საქციელი, მისი ფიქრები/განცდები...*) ხერხებს;

- გამოაქვს დასკვნა პერსონაჟებს შორის არსებული ურთიერთობის შესახებ;
- თხრობითი ხასიათის ნაწარმოებში გამოკვეთს მოვლენათა თანამიმდევრულობას; ამოიცნობს ამბის დასაწყისსა და დასასრულს შორის ლოგიკურ კავშირებს;

  განსაზღვრავს ავტორის, მთხრობელის, პერსონაჟის პოზიციას, რაც განაპირობებს ნაწარმოებში წარმოდგენილი კონფლიქტის/პრობლემის/ამბის ინტერპრეტაციას;
- გამოხატავს საკუთარ დამოკიდებულებას/პოზიციას ტექსტში ასახულ კონფლიქტთან/პრობლემასთან/მოვლენასთან დაკავშირებით და ასაბუთებს ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე დაყრდნობით;

გაგება–გააზრების უნარ–ჩვევების განვითარების საგაკვეთილო იდეები

X კლასში ჩავატარე გაკვეთილი ინდირა განდის ცხოვრების შესახებ (სახელმძღვანელო წიგნი, გამოცემა–საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო,თბილისი 2013წ. გვ.38.)

მიზნად დავისახე ესგ–ს ქვემოთ მოცემულ შედეგებზე გასვლა.

- ამოიცნობს ტექსტის ზედაპირზე (ექსპლიციტურად) მოცემულ ინფორმაციას (*ფაქტი, მოვლენა, აზრი, მოქმედების დრო და ადგილი და სხვა*);
- მსჯელობს ტექსტში განვითარებული მოვლენების შესახებ და საკუთარი პოზიციის/დამოკიდებულების დასასაბუთებლად იყენებს ტექსტის შესაბამის ადგილებს;
- დასკვნა გამოაქვს მთლიანი ტექსტის გააზრების საფუძველზე;
- მიჯნავს ფაქტს დამოკიდებულებისაგან /ვარაუდისაგან/ შეფასებისაგან

პირველ რიგში,ყურადღება მივაქციე ლექსიკურ მარაგს.ამოვწერე სიტყვები,რომლებიც შესაძლოა,არ სცოდნოდათ მოსწავლეებს. მაგალითად:

მეტოქე	გამჭრიახი	აძრომა
თოჯინა	მტკიცე	სამოსი
გავლენიანი	ზაფრანა	სიღატაკე
სარი	ჭაღარა	კასტა

მივაწოდე სინონიმებიც: მოქიშპე, დედოფალა, ძალაუფლებისმქონე, ინდური კაბა, გონება უჭრის, შეუპოვარი,ზაფრანა–(სურათი ვაჩვენე), თეთრთმიანი, ასვლა, ტანსაცმელი, სიღარიბე, კლასი.

მოსწავლეებმა იმუშავეს წყვილებში და განმარტეს თითოეული სიტყვის მნიშვნელობა.

გავუნაწილე სიტყვები და სამუშაოდ მივეცი დავალება,თითოეულ სიტყვაზე

DO NOT COPY

შეედგინათ მარტივი წინადადებები და წარმოედგინათ. ანუ ცალკეული სიტყვის მნიშვნელობა გაარკვიეს,ახლა არამხატვრული ტექსტის გააზრების დრო დადგა. ამისათვის,ტექსტი წინასწარ გავყავი სამ ნაწილად და ვთხოვე მოსწავლეებს ინდივიდუალურად დაემუშავებინათ, ამოეკრიფათ ყველა საკითხი,რომელსაც შეხვდებოდნენ. ცხადია, მიცემული დროის ამოწურვის შემდეგ წარმოადგინეს ნამუშევარი. დროდადრო სჭირდებოდათ ფასილიტაცია.

წინასწარ ამოვბეჭდე ინტერნეტიდან ინდირა განდისა და მისი ოჯახის წევრების სურათები, მოვამზადე კედლის გაზეთი ,წებო, მარკერები და პრეზენტაციის დაწყებამდე ვთხოვე მოსწავლეებს, შეერჩიათ მათი ნამუშევრისათვის შესაბამისი სურათი და დაეკრათ კედლის გაზეთის დიდ ფორმატზე. მოსწავლეებმა ხალისით შეასრულეს დავალება და შეიქმნა კედლის გაზეთი ინდირა განდის შესახებ ინფორმაციითა და სურათებით გამდიდრებული.

შემდეგ დავურიგე ტესტები (ტესტები იხილეთ დანართში) და ვთხოვე,შეევსოთ. მაინტერესებდა, შეძლეს თუ არა არამხატვრული ტექსტის გაგება –გააზრება ჩემ მიერ დაგეგმილი აქტივობებით.

ბარათებით გამოვიკითხე ,შეძლეს თუ არა არამხატვრული ტექსტის გაგება–გააზრება.



მომდევნო გაკვეთილი კვლავ არამხატვრული ტექსტის გააზრებაზე მიმართული იყო. ,,მე–20 საუკუნის ელეგანტურობის ეტალონი“.(სახელმძღვანელო წიგნი,წიგნი,გამოცემა–საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო,თბილისი 2013წ. გვ.52–53)

ვთხოვე მოსწავლეებს ,წაეკითხათ ინდივიდუალურად და ეპასუხათ კითხვაზე: მხოლოდ ტექსტიდან გამომდინარე,შეიძლება თუ არა ოდრი ჰეპბერნის ჩათვლა მეოცე საუკუნის ელეგანტურობის ეტალონად?



პასუხი ,,დიახ!“ არასწორია, რადგან სახელმძღვანელოში მოცემულ ტექსტში მწირი ცნობაა ამასთან დაკავშირებით.

იმ მიზნით, რომ უკეთ გაეგოთ, იყო თუ არა ოდრი მართლაც მე–20 საუკუნის ელეგანტურობის ეტალონი, მოსწავლეებს პროექტორით ვაჩვენე ნაწყვეტი ფილმიდან ,,რომაული არდადეგები“, სადაც ერთად მონაწილეობენ გრეგორი პეკი და ოდრი ჰეპბერნი. ვთხოვე, ნანახი ნაწყვეტიდან დაეხასიათებინათ, უფრო სწორად, ჩამოეთვალათ ის დამახასიათებელი ელემენტები,რომლითაც გამოირჩეოდა ოდრი პრინცესას როლში.
მივაწოდე სიტყვები და უნდა აერჩიათ შესაბამისი: ნაზი, კოხტა, ლამაზი, ელეგანტური, მომხიბლავი, მკაცრი, სასურველი, კდემამოსილი.
ცხადია, მკითხეს, რას ნიშნავდა მომხიბლავი, სასურველი, კდემამოსილი.
შემდეგ მოსწავლეებმა იმსჯელეს **იმაზე, რომ ოდრი ნმდვილად ყოფილა** ელეგანტურების ეტალონი.
მათი განმარტების შემდეგ გადავედი სახელმძღვანელოში მოცემულ ტექსტზე. მოსწავლეებმა შეასრულეს ის დავალებები,რომლებიც წიგნშია მოცემული და ,რომელიც გაკვეთილის გაგებას ემსახურება.

მსურდა ,ყურადღება მიექციათ ოდრი ჰეპბერნის საქველმოქმედო საქმიანობისათვის.ამისათვის მათ ვაჩვენე ის კადრები,რომლებიც ოდრის იმ ცხოვრებას ასახავენ,რომელიც მიუძღვნა აფრიკის,აზიისა და ამერიკაში მცხოვრებ ღარიბ მოსახლეობას.

შემდეგ ვთხოვე ეპასუხათ ჩემ მიერ მომზადებული ტესტის კითხვებისათვის.(ტესტი იხილეთ დანართში) იმის გასარკვევად,თუ როგორ გაიგეს ტექსტი და ჩახვდნენ სტატიის ავტორის მიზანს. ტესტის შედეგები:



მოსწავლეებმა ყველა კითხვას ზუსტად უპასუხეს.

სახელმძღვანელო წიგნში მოცემული თემის..მოდა და სტილი“–ს გავლის შემდეგ დამატებით გაკვეთილზე დავამუშავეთ **მხატვრული ნაწარმოები**–,,ულმობელი მოდა“.

1.მოსწავლეებმა იმუშავეს ინდივიდუალურად,

2. გაუგებარი ლექსიკური ერთეულები განმარტეს და ჩაიწერეს სალექსიკონო რვეულებში,
3.მოძებნეს და ამოიწერეს პერსონაჟთა დამახასიათებელი თვისებები,

4.დააზუსტეს მოქმედების ადგილი და დრო,

5.გაიაზრეს რისი თქმა სურდა ავტორს,

6. დაადგინეს პრობლემა

7.დასვეს კრიტიკული კითხვები

8.შემდეგ შეაჯერეს ნააზრევი ჯგუფში,

9.პრეზენტაციით წარმოადგინეს დამუშავებული მასალები,

10.რის საფუძველზეც შექმნეს რესურსი ,,კედლის გაზეთი“(ი**ხილეთ დანართში),**

ასეთმა მიდგომამ მოსწავლეებს გაუადვილათ საკმაოდ დიდი მხატვრული ტექსტის აღქმა და განუვითარა გაგება–გააზრების უნარი. შესაბამისად,ამაღლდა ცოდნის დონე და გაუმჯობესდა სწავლის ხარისხი.

ასეთივე მიდგომებითა და სტილით ჩავატარე მოდევნო გაკვეთილიც,რომელიც ეხებოდა ლეონარდო და ვინჩისა და მის უკვდავ ჯოკონდას. მოსწავლეებმა იმუშავეს

DO NOT COPY

წიგნებზე, ინფორმაციები მოიძიეს ინტერნეტში. კვლავ გაკვეთილზე დაამუშავეს მხატვრული ნაწარმოები– ,,იდუმალი ლეონარდო“,ჩემი მითითებით ნახეს ფილმი, ,და ვინჩის კოდი“ შეაჯერეს წაკითხული და ნანახი,გამოიტანეს დასკვნა,თუ რატომ იყო იდუმალი ლეონარდო და ვინჩი და რისი თქმა სურდა ავტორს ამ ნაწარმოებით.შექმნეს რესურსი ,,კედლის გაზეთი“ ლეონარდოსთან დაკავშირებით (გაზეთი იხილეთ დანართში), დაწერეს ესე თემაზე: ,,ადამიანის იდუმალი სამყარო.“

კლასის საათზეც განსაკუთრებული ყურადღება მივაქციე იმ დავალებების შესრულებას, რომლებიც არამხატვრული და მხატვრული ტექსტების გაგება–გააზრების უნარის განვითარებას უწყობს ხელს. ცხადია,მუდმივი ყურადღება და თვალყურისდევნება

ხელს უწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. (სამუშაო წიგნი და ნამუშევრები იხილეთ დანართში)

თავი 8

ინტერვენციების შეფასება

ინტერვენციების შეფასების მიზნით შევადგინე თვითშეფასების ფორმა მოსწავლეებისთვის და ასევე ჩემთვის (იხილეთ დანართში) ,აღმოჩნდა, რომ სამივე მოსწავლემ დადებითად შეაფასა თავისი აქტიურობა. მათი შეფასება დაემთხვა ჩემსას. შესაბამისად უპასუხა. პირველ ხუთ კითხვაზე ,,დიახ!“ ,ბოლო კითხვაზე— ,,არა“. ანუ კვლევის დაწყებამდე არ მოსწონდათ თავიანთივე ჩართულობა გაკვეთილის პროცესში, რადგან ვერ იაზრებდნენ სრულყოფილად წაკითხულს, ხოლო მასწავლებლის მიერ ახალი მიგნებებისა და გზების გამოყენების შემდეგ, მათ განუვითარდათ ტექსტების გაგება–გააზრების უნარი.

მშობლების გამოკითხვამაც დადებითი პასუხი მოგვცა. (იხილეთ დანართში).

სამივე მშობლის პასუხებიდან გამომდინარე შედეგი ასეთია:

1.რა ქულას დაუწერდი შენს შვილს კვლევამდე და კვლევის შემდეგ?

1.მშობელი 5————10–ს

2.მშობელი 4————10–ს

3.მშობელი 6————10–ს



თავი 9.

დასკვნა

DO NOT COPY

პრაქტიკული კვლევის შედეგების დასკვნა ასეთია: სსიპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ საძელის საჯარო სკოლის X კლასში ქართულ როგორც მეორე ენაში ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ მოსწავლეების უნარი არამხატვრული და მხატვრული ტექსტების გააზრებისა საკმაოდ დაბალი იყო. პრობლემა ის იყო, რომ სომხურენოვან მშობლებს არც შეეძლოთ და არც სურდათ დახმარებოდნენ შვილებს: ,,უნდათ, ისწავლიან, მე რანა ვქნა?!" სკოლას ავალდებულებდნენ ამ პრობლემის მოგვარებას.

ამ პრობლემის აღმოფხვრის მიზნით დაიგეგმა ეფექტური ინტერვენციები: შეხვედრა სამიზნე კლასის მშობლებთან; ლიტერატურული ნაწარმოებების წაკითხვა და განხილვა;

მას შემდეგ, რაც ვისაუბრე მოსწავლეებთან და მშობლებთანაც ზემოთ ხსენებული უნარის განვითარების აუცილებლობაზე, პრობლემის მოგვარების საკითხი ადგილიდან დაიძრა.

პირველ რიგში ,სალექსიკონო რვეულების სისტემატური წარმოება დაიწყეს,სიტყვებზე წინადადების აგება სახალისო თამაშად აქციეს,ამით ესაუბრებოდნენ ერთმანეთს.თვით მშობლებსაც დაუწყეს ქართულად

საუბარი, იწერდნენ წაკითხულსა თუ მოსმენილ ყველა გაუგებარ ფრაზას და მთხოვდნენ ამეხსნა.

ინტერვენციების განხორციელებით მიღწეული შედეგი გაიზომა შემდეგი აქტივობებით: დაკვირვება გაკვეთილებზე, ფოკუს-ჯგუფი მასწავლებლებთან, რეფლექსიების თანმიმდევრული ანალიზი, მოსწავლებლის თვითშეფასებისა და მასწავლებლის შეფასების ფორმის შედარებითი ანალიზი.

ჩემი აზრით, ჩემ მიერ დაგეგმილმა ინტერვენციებმა დადებითი ზეგავლენა მოახდინა.

თავი 10.

კვლევის შეზღუდვები

პრაქტიკის კვლევის დროს ხელისშემშლელი ძირითადი ფაქტორი სოფ.საძელის

DO NOT COPY

მოსახლეობის ქართული ენის არცოდნა იყო, რაც აისახებოდა მოსწავლეთა სწავლის ხარისხზე. ძნელია, როცა მხოლოდ სომხური გესმის ოჯახში, სამეზობლოში, სანათესაოში. როცა მოსწავლის მიერ დასმულ კითხვას მშობელი ან არ ასრულებს, ან ვერ ასრულებს.

კვლევას აფერხებდა ერთი მშობლის უინტერესობაც (სულ სამ მშობელზეა საუბარი) ისიც, რომ მოსწავლეთა რაოდენობა ნაკლებია და სხვა გზაც არ არის, მხოლოდ სამთან უნდა იმუშაო. მრავალბავშვიან კლასში აზრებიც მრავალია. ამავე დროს, ქართული წინადადების სინტაქსური აგება და სომხური ენისა ერთმანეთს არ ესადაგება. მასწავლებელს მეტი ძალისხმევა სჭირდება ამ პრობლემის მოსაგვარებლადაც. გამოიყენონ გარემო, როგორც ცოდნის წყარო, დაუკავშირონ სასწავლო მასალა მოსწავლეთა მშობლიური ქალაქის, უბნის განვითარების პერსპექტივებს; ვფიქრობ,მომდევნო წელს კვლევას სწორედ მოსწავლეებში სომხური და ქართული ენის სინტაქსის ვერ შეთავსების პრობლემებზე ჩავატარებ

თავი 11.

რეკომენდაციები

რეკომენდაციები მასწავლებლებს:

1.მხატვრული და არამხატვრული ტექსტების გააზრებისათვის ,პირველ რიგში,ყურადღება მიაქციონ სალექსიკონო რვეულების წარმოებას ,სადაც მოსწავლეები ჩაწერენ არა მარტო სიტყვების განმარტებას, არამედ მის სომხურ შესატყვისსაც.

2. მოსწავლეებს ურჩიონ ერთმანეთთან ქართულად საუბარი

3. დაუწესონ ერთი კლასგარეშე გაკვეთილი კვირაში,რომელზეც განიხილავენ სახელმძღვანელოს გარდა, მხატვრულ ან არამხატვრულ ტექსტებს .

4. გამოიყენონ გარემო, როგორც ცოდნის წყარო, დაუკავშირონ სასწავლო მასალა მოსწავლეთა მშობლიური სოფლის განვითარების პერსპექტივებს;

5. მიაჩვიონ მოსწავლეები თვითშეფასებას

რეკომენდაციები მშობლებს:

1.ხელი შეუწყონ თავიანთი შვილების სწავლის ხარისხის ამაღლებას: მოამარაგონ ისინი ქართული მხატვრული ლიტერატურით და ჟურნალ–გაზეთებით

2.ეცადონ, ესაუბრონ ქართულად

3. დაუსახონ უკეთესი მომავლის პერსპექტივა იმით, თუ ეცოდინებათ გამართული ქართულით საუბარი და განვითარებული ექნებათ ტექსტების გაგება–გააზრების უნარი

თავი 12.

გამოყენებული ლიტერატურა

1.ესგ
https://www.mes.gov.ge/content.php?id=3923&lang=geo
2..მხატვრული ტექსტის გააზრების ზოგიერთი ასპექტი

DO NOT COPY

26 სექტემბერი, 2014 ირინა სამსონია
http://mastsavlebeli.ge/?p=4106

27.

3. საქართველო
imedi / 06 მაისი 2018, 14:41 / სანდო წყარო

https://imedinews.ge/ge/saqartvelo/60296/kvleva-mostsavleta-14s-tsakitkhulis-gaazreba-minimalur-donezets-ar-sheudzlia

4.ტექსტის ანალიზი

5 ივლისი, 2018 ლელა კვირტაია

http://mastsavlebeli.ge/?p=18560

5.აზროვნების სახეები

26 აპრილი, 2017 ცვატა ბერძენიშვილი

http://mastsavlebeli.ge/?p=13985

6.აზროვნება და ოპერაციები

25 მაისი, 2017 მარიამ გოდუაძე

- http://mastsavlebeli.ge/?p=14310

სახელმძღვანელო წიგნი –ქართული ენა 10,
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო,თბილისი2013

7. ულმობელი მოდა

8. იდუმალი ლეონარდო

თავი 13

დანართი

ტესტი N1.

ტესტები მოსწავლეებისათვის:

1. არამხატვრული ტექსტების წაკითხვისას იგეგ თუ არა მთლიან შინაარსს?

ა) დიახ ბ) ვერა გ)ნაწილობრივ

2. ტექსტის ნაწილებად დაყოფა გეხმარება თუ არა მთლიანი ტექსტის გააზრებაში?

ა) დიახ ბ)ვერა გ)ნაწილობრივ

3. რა გიშლის ხელს ტექსტის გააზრებაში?

ა) სიტყვების არცოდნა

ბ)გრამატიკის ნორმების არცოდნა

გ) ორივე ერთად

4.შეუძლია თუ არა მშობელს,დაგეხმაროს ქართული ტექსტის გააზრებაში?

ა)დიახ ბ)არა

5.მიგაჩნია თუ არა აუცილებლობად,გქონდეს არამხატვრული ტექსტის გააზრების უნარი?

ა)დიახ ბ) არ მჭირდება

ტესტი N2

მოსწავლეებისთვის

სახელი,გვარი:

1.შენთვის რომელი უფრო ადვილად გასაგებია,არამხატვრული თუ მხატვრული ტექსტი?

ა)არამხატვრული ბ)მხატვრული

2.კითხულობ თუ არა ქართულ მხატვრულ ლიტერატურას?

ა) დიახ ბ) არა გ)ხანდახან

3. მხატვრული ლიტერატურის კითხვისას რა გიჭირს ყველაზე მეტად?

ა) ზოგიერთი წინადადების გააზრება

ბ) იმის მიხვედრა ,თუ რისი თქმა სურს ავტორს

გ) ზოგიერთი სიტყვის გაგება

დ) სამივე ერთად

4.შენი აზრით,რა დაგეხმარება ტექსტის გააზრებაში?

ა) სიტყვების ცოდნა და გრამატიკულად მართვა

ბ)მიხვედრის უნარი

გ)არცერთი

5. გსურს თუ არა ტექსტების გაგება–გააზრების უნარის განვითარება?

ა)დიახ ბ)არა გ) არ მჭირდება

ტესტი N3

ტესტი მასწავლებლებისთვის

სახელი,გვარი:

1.როგორ ფიქრობ,რას მივანიჭო მეტი ყურადღება ტექსტების გაგება–გააზრების უნარის განვითარებისთვის მოსწავლეებში?

ა) ლექსიკურ მარაგს ბ)წარმოსახვითი უნარის განვითარებას გ) გრამატიკული ნორმების ცოდნას დ) სამივეს ერთად

2. როგორ დავეხმარო მოსწავლეებს, საგაკვეთილო პროცესში დასვან კრიტიკული შეკითხვები და საკითხი ობიექტურად შეაფასონ?

ა) მივცე ტექსტი სამუშაოდ და ვთხოვო,ინდივიდუალურად ჩამოწერონ კითხვები ტექსტში წამოჭრილ პრობლემასთან დაკავშირებით

ბ) სჯობია,ჯგუფში განიხილონ ტექსტში არსებული პრობლემა,ჩამოწერონ კითხვები და საკითხი შეაფასონ ობიექტურად

3. თანამშრომლობით უნარზე გადატანილი ყურადღება(ჯგუფური მუშაობა),დამეხმარება თუ არა,მოსწავლეებს განვუვითარო ტექსტის გაგება–გააზრების უნარი?

ა)რა თქმა უნდა,ასეთ შემთხვევაში მოსწავლეები ერთმანეთს ეხმარებიან საჭირბოროტო საკითხის გადაწყვეტაში

ბ) ვერ დაგეხმარება,რადგან მოსწავლეები ლიდერს მიანდობენ საკითხის გადაწყვეტას

4. რას მირჩევ,როგორ მოვიქცე,რომელი აქტივობა დამეხმარება მოსწავლეებში ტექსტის გაგება–გააზრების უნარის განვითარებისათვის.

ტესტი N4

ტესტი მშობლებისთვის

სახელი,გვარი

1.როგორ ფიქრობთ, თქვენს შვილს რა უშლის ხელს ტექსტის გაგება –გააზრებაში?

ა) სიზარმაცე

ბ) ქართული სიტყვების არ ცოდნა

გ)გაგება–გააზრების უნარის არქონა

დ) ბ და გ ვარიანტი ერთად

2.თქვენი აზრით,როგორ შემიძლია დავეხმარო ?

2.თქვენი აზრით,როგორ შემიძლია დავეხმარო თქვენს შვილს?

ა) მკაცრად მოვთხოვო სალექსიკონო რვეულის წარმოება

ბ)მოვთხოვო,ხშირად იკითხოს მხატვრული თუ არამხატვრული ლიტერატურა

გ) ნახოს ქართული ფილმები და ყურადღებით უსმინოს

დ)ყოველთვის დაწეროს დავალებები და ყოველთვის გავუსწორო შეცდომები

31.

4. რას მირჩევ,როგორ მოვიქცე,რომელი აქტივობა დამეხმარება მოსწავლეებში ტექსტის გაგება–გააზრების უნარის განვითარებისათვის.

1.ხშირად ვამუშავო წყვილებსა და ჯგუფებში

2.მივაჩვიო,დასვან კრიტიკული კითხვები

3. განსაკუთრებული ყურადღება გამოვიჩინო ლექსიკური მარაგისადმი

4.მივაჩვიო პრეზენტაციებსა და რესურსების შექმნას

არამხატვრული ტექსტის გასააზრებელი

ტესტიN1.

1.ვინ იყო ჯავარჰარლალ–ნერუ?

ა) ინდირა განდის მამა

ბ)რიგითი ინდოელი

გ)ინდირას ოჯახის ახლობელი

2.რას ასწავლიდა ოჯახი ინდირას?

ა) ინდოეთის ისტორიას

ბ) ინგლისურ ენას

გ) რომ სიმდიდრე მთავარი არ იყო

3.რისი თქმა სურს ინდირას შედარებით:,,ჟანა დარკივით მუდამ საბრძოლველად შემართული ვიყავი“?

ა)მეომარი სული ჰქონდა

ბ)დაუღლელი იყო

გ) ომში იბრძოდა

4.რომელი უნივერსიტეტი დაამთავრა ინდირამ?

ა) ინდოეთის

ბ) კემბრიჯის

გ)ოქსფორდის

5.მტკიცე ხასიათის მქონე და ძალაუფლებისმოყვარე ინდირა როდის იჩენდა რბილ და თბილ ხასიათს,ვისთან მიმართებაში?

ა)შვილებთან

ბ)მშობლებთან

გ)ინდოელ ხალხთან

6.ინდოელ ხალხზე მზრუნველი ქალბატონისათვის რა აღმოჩნდა საბედისწერო?

ა)ჟურნალისტებთან საუბარი

ბ)ტყვიაგაუმტარი ჟილეტის მოხსნა

გ) ქუჩაში დაცვის გარეშე სიარული

7.რომელ წელს მოკლეს ინდირა განდი?

ა)1884 წელს

ბ)1984

გ)არ მოუკლავთ

8. რასთან ასოცირდება,,დაბალი ტანის ქალბატონი,ნაადრევად გაჭაღარავებული თმითა და სარიზე დამაგრებული ვარდისფერი ყვავილით“?

ა)გამძლეობასა და სიბრძნესთან

ბ)ქალურ სინაზესთან

გ)ჯარისკაცობასთან

9. რისი თქმა სურს ამ ინფორმაციის ავტორს?

ა) ერთი ქალის ცხოვრებას აღწერს

ბ) რომ ინდირა განდი განსაკუთრებული ადამიანი იყო

ტესტი N 2.

1.დაემგვანება თუ არა ნებისმიერი ოდრი ჰეპბერნს,თუ მასავით შეიჭრის თმას და მზის სათვალეს გაიკეთებს?

ა) დიახ! (ახსენი, რატომ?)

_____

_____

ბ) ვერა(ახსენი, რატომ?)

_____

_____

_____

DO NOT COPY

2.რითი ინუგეშებდა თავს ჯანმრთელობაშერყეული პატარა ოდრი?

ა) ოცნებით

ბ)ქალაქში დასეირნობდა

გ) წიგნს კითხულობდა

3.რატომ ვერ შეძლო ნიჭიერმა და შრომისმოყვარე ოდრიმ ბალერინობა?

ა)სიმაღლის გამო დაიწუნეს

ბ)ვერ ახერხებდა ცეკვას

გ)უფულობის გამო

4.ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის ჰეპბერნს ოსკარი რომელმა ფილმმა მოუტანა?

ა) ,,რომეო და ჯულიეტამ“

ბ) ,,რომაულმა არდადეგებმა“

გ),,ტიტანიკმა“

5.რას ნიშნავს ,,კეთილი ნების ელჩი“?

ა)ადამიანს,რომელიც სხვებზე ზრუნავს

ბ)პიროვნულად თავისუფალ ადამიანს

გ) უშიშარს

6. რატომ იყო დაჯილდოებული ღირსების მედლით?

1. ღირსეული ადამიანი იყო და იმიტომ

2. კარგი მსახიობობის გამო

3.იმ სიკეთისათვის,რომელსაც იუნისეფთან თანამშრომლობით გასცემდა

7. რა არის ამ ტექსტის მთავარი სათქმელი?

ა) ის,რომ ოდრი ელეგანტური იყო

ბ) ოდრის ცხოვრების ნიშანდობლივი მომენტების თხრობა

გ) ის,რომ ადამიანი კეთილი უნდა იყო

რესურსი 1.





რესურსი 2.



თვითშეფასების ფორმა მოსწავლეებისთვის:

საკითხები	**დიახ**	**არა**	**ნაწილობრივ**
იწვევს თუ არა ჩემს ინტერესს ქართულ ენაზე შექმნილი არამხატვრული და მხატვრული ტექსტი?			
მჭირდება თუ არა მომავალში მისი გააზრების უნარი?			
მიზიდავდა თუ არა ასეთ ტექსტზე მუშაობა?			
შევიძინე თუ არა გაგება–გააზრების უნარი?			
ვარ თუ არა კმაყოფილი ჩემი მუშაობით?			
მოგწონდა თუ არა კვლევამდე საკუთარი უნარი ტექსტების გაგება–გააზრებისა?			

მოსწავლეთა შეფასების ფორმა მასწავლებლისთვის:

საკითხები	I–მოსწავლე	II	III
ტექსტებზე მუშაობისას ავლენდა ინტერესს	x	x	x
აქტიურად იყო ჩართული	x	x	x
მონაწილეობას იღებდა რესურსის შექმნაში	x	x	x
არ აინტერესებდა,ამხანაგზე იყო დამოკიდებული	-	-	-
ერთულებოდა ტექსტი,მაგრამ უკან არ იხევდა	–	–	x

შეფასების ფორმა მშობლებისთვის:

საკითხები	დიახ	არა	ნაწილობრივ
თქვენი შვილი ტექსტებზე ინტერესით მუშაობდა?			
ხომ არ ეზარებოდა,რადგან ერთულებოდა?			
გიყვებოდა თუ არა იმას,რასაც გაიგებდა?			
კვლევის დაწყებამდე უჭირდა თუ არა ტექსტის გაგება–გააზრება?			
ახლა ისევ უჭირს თუ ,პირიქით,იცის,რა გზებს მიმართოს გასაგებად?			

რესურსი 3.



DO NOT COPY



რესურსი 4.



DO NOT COPY

რესურსი 5.



თავი 14.

რეფლექსია კვლევის შედეგების გაზიარებაზე

2019 წლის 27 მაისს სსიპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ საძელის საჯარო სკოლაში შედგა ქართული როგორც მეორე ენის, კათედრის სხდომა.

სხდომის წევრებს გავუზიარე ჩემი პრაქტიკის კვლევის შედეგები. პრეზენტაციით და სლაიდების გამოყენებით, ვისაუბრე იმაზე , რომ ესგ –ს სტანდარტებზე

დაყრდნობით, მასწავლებლის მიზანია, თავი გაართვას მის წინაშე არსებულ მოთხოვნებს: მოსწავლემ შეძლოს მხატვრული და არამხატვრული

ტექსტების სრულყოფილად გაგება–გააზრება, თავისი დამოკიდებულების წარმოჩენა ამა თუ იმ მოვლენისადმი და მისი კრიტიკულად შეფასება, ანუ შეძლოს მსჯელობა, კრიტიკული კითხვების დასმა, არგუმენტების მოყვანა, თავისი შეხედულების დაცვა და დამტკიცება. ასეთი ბარიერების დაძლევის შემდეგ ის საზოგადოების სრულყოფილი და ღირსეული წევრი გახდება. დღევანდელი ცხოვრების ყოფა მრავალი გამოწვევის წინაშე აყენებს მოზარდს. მრავალი პრობლემა შეხვდება რეალური ცხოვრების მანძილზე, მან კი უნდა შეძლოს დეტალების შემჩნევა და სწორი და დაუყოვნებელი გადაწყვეტილების მიღება.

ზემოთ ჩამოთვლილი უნარები რომ განმევითარებინა, ამისათვის მნიშვნელოვან ნაბიჯად ისეთი გაკვეთილების დაგეგმვა და ჩატარება მივიჩნიე მიზანშეწონილად, რომელმაც მიმახვედრა, რომ ჩემ მიერ შერჩეული მეთოდები და რესურსები ნამდვილად ემსახურება მოსწავლეთა მიერ მხატვრული და არამხატვრული ტექსტების გაგება –გააზრების უნარის განვითარებას. რაზეც დაფუძნებულია კრიტიკული აზროვნება,მოტივაციის ამაღლება,სწავლა–სწავლების ხარისხის გაუმჯობესება.

მონაცემთა ანალიზისა და ინტერვენციის შეფასების შემდეგ შედეგების შედარებისას აშკარაა სხვაობა კვლევის დაწყებისა და დამთავრების შემდეგ. მიზანი მიღწეულია. დავაზუსტეთ პრობლემები და მის ამოსაფხვრელად გამიზნული მეთოდებით შევძელი ,პრობლემის გადაჭრა.

კოლეგებმა დარწმუნებით აღნიშნეს, რომ პრაქტიკის კვლევის დაგეგმვა, წარმართვა და შეფასება კარგად შეუძლია მასწავლებელს და რომ რეალურად სკოლაში ამ პრაქტიკის დანერგვა შესაძლებელია. თანაბრად მნიშვნელოვანია, როგორც მიღებული შედეგი, ისე პროცესი, რომელიც ბევრს აძლევს როგორც მოსწავლეს, ისე მასწავლებელს.

ვფიქრობთ, რომ სკოლებისთვის პრაქტიკის კვლევა პრობლემის შესწავლისა და არსებული არასასურველი ვითარების გაუმჯობესების ის საშუალებაა, რომელიც მასწავლებლებისთვის ინოვაციაა და ისმის ბევრი შეკითხვა. ვფიქრობთ, ამ ეტაპზე ჩვენი კოლეგებისთვის ღირებულია თითოეული პრაქტიკული მაგალითი უკვე განხორციელებული პროექტისა.

ფეფრონე პაპიკიან -ათოშვილი

2018–2019 საწავლო წელი

DO NOT COPY